01/06/2020
N 90/860

860-0-2-202006011729

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

ბატონო ლევან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე N13 ბრძანების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისათვის შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისა.
გამარტივებული შესყიდვის გზით შესასრულებელია ქ.ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის მ/ტერიტორიიდან შ.ხიმშიაშვილის ქუჩამდე (ე.წ. არდაგანის ტბა) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის (არსებულიბუნებრივი ქვაფენილის გამოყენებით) სამუშაოები.

სამუშაო ზოლი მოიცავს ტერიტორიას რუსთაველის ქუჩიდან დელფინარიუმის მ/ტერიტორიიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე (ე.წ. არდაგანის ტბა), რომელიც წარმოადგენს ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ტურისტული ადგილს. აქ განლაგებულია: დელფინარიუმი - ქ.ბათუმის ტურისტული პროგრამის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, აქვე მდებარეობს სასტუმრო ჰილტონი, ბათუმის საზღვაო აკადემია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ.უნივერსიტეტი (ისტორიული ძეგლი) და სხვა. გარდა ამისა, ამ ზოლში ცალმხრივად გადაკეტილია სატრანსპორტო გზა ზღვის სანაპიროს მხრიდან, მელიქიშვილის ქუჩიდან შერიფ ხემშიაშვილის ქუჩამდე, რაც დიდ დისკომფორტს უქმნის ბათუმის მოქალაქეებს და ჩამოსულ სტუმრებს.

გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით.

სულხან ევგენიძე

დირექტორი

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო